# ტარტაროზი

წელიწადი მეხუთე

ფასი 15 კაპ.

კვირა, 23 დეკემბერი 1928 წ. № 164

ნახ. ჩადარეიშვილის



F-925

მწყემსი:—რა იყო, რა გაღრიალებს?!

ვირი:—ამბობენ: აქ სადღაც ქრისტე, ჩაგრულთა მხსნელი და მფარველი დაიბადაო და აი, მეც მოვედი! ჩემზე უფრო ჩაგრული კიდევ ვინ უნდა იყვეს?!

ახალ მოდაზე.

(იხ. მე-16 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვირი და ქრისტე

მართალია, უჭკუო და
ტუტუცია ვითომც ვირი,
მაგრამ, მან რომ არ იცოდეს,
მსგავსს რას იტყვის ქვეყნის პირი?

და თუ ხშირად მიამიტობს,
კიდეც ოჩნობს ზოგჯერ გზაში,
ვინც ხვედრს იცნობს სახედრისას,
ვინ დასძრახავს ვირს ამაში?

მე ჭკვიანი ხალხის ჯავრით
აღარა ვარ გულში მშვიდათ,
თორემ ვირებს, მმოწმობს ქრისტეც,
მე ვაფასებ ერთობ დიდათ!

და როდესაც მენახშირე,
ვხედავ, ვირს სცემს სადმე გზაში,
მზად ვარ სამსონს ძლიერსაც-კი
დავეცილო ვირის ყბაში,

რომ უდიერ მენახშირეს,
ის მე რისხვით დავაძგერო
და მარჯვენა მისი. ტლანქი,
სამუკუნოდ შევაჩერო!..

რატომ? ამის მიზეზი მაქვს,
საპატიო მეტის მეტად,
და ნუ გწყინთ, თუ არ დაგითმოთ,
ვირი წელში გასაწყვიტად!

ვირს პატივს ვსცემ არა მარტო
მე, ღვთის მონა და მორჩილი,
ვირი მუდამ თვით ქრისტესაც
ლაჯში ჰყავდა ამოჩრილი,

და უმისოდ ერთ ნაბიჯსაც
არ წასდგამდა გასაჭირში!..
ერთი სიტყვით ინტერესი
დიდი ჰქონდა ქრისტეს ვირში.

მაგალითად: მეფე იროდს,
როცარა როს ხუხურმა.
ბრძანა ყრმათა ამოჟლეტა,
თითქოს იყო ინდის ხურმა:

საკუთარი ტახტის ხვედრი
ფიქრს უძრავდა მეფეს თავში
და თოთხმეტი მან ათასი
ამოსწყვიტა ერთ დღეს ბავში, —

აი, ამ დროს ყრმა იესო
იოსებმა, მამამ მისმა,
შესვა ვირზე დედითურთ და
ეგვიპტისკენ თავი მისცა!..



განვლო დრომ და ვირიც ქრისტეს
კვლავ დასჭირდა ერთხელ მთაში,
თაბორის მთას ეძახიან,
უბჯენია წვერი ცაში,

და იმაზე ასვლა ერთხელ
მოესურვა რა იესოს,
მოციქულთაც ფიცხლავ ვირი
მოართვეს და მასზედ შესვეს..

და შეუდგენ ვირით აღმართს,
უკანალზე ჯოხის ცემით,
სახარება აქ სდუმს, მაგრამ
მე ეს ვიცი გარდმოცემით!

მერე რა ვქნათ? შემდეგ ფაქტზეც
სდუმს აგრეთვე სახარება:
როცა ქრისტეს უდაბნოსკენ
მოუწია გამგზავრება,



მან ქვევითად გაიარა
ეს გზა მაშინ თუ აქლემით?
ვირზე იჯდა! მოციქულნიც
მირეკავდენ იმ ვირს ცემით..

და ამრიგათ გაატარეს
იქით-აქეთ ქრისტე ვირით..
სახარება მალავს ფაქტს და
მე თვით ვამბობ ჩემის პირით..

და ამაში რომ არ ვსტყუი,
და ამაში რომ არ ვცდები,
ერთ მაგალითს კვლავაც მოვიყვან
და, მკითხველო, შენც მიხვდები,

რომ მიწევდეს ლაპარაკი
გამონაკლით მე ამჟამად,
ვირის ხედნის საკითხებში
თავს არა ვგრძნობ ისე ხამად!

რა თქმა უნდა, ქრისტეს შემდეგ
კვლავაც მოუნდა გზის წარება...
(ამ ფაქტს უკვე ესდენ ძლიერს
ვერ ფარავს ვერც სახარება),

რომ ბზობა დღეს ერთხელ ქრისტე
გაემგზავრა ერუსალიმს,
ებრაელთა პასექობის
რომ მისდევდა წესს და ყალიბს.

და რადგანაც ამ გზის, გრძელის,
უჩვეული იყო ქრისტე,
დაფაცურდენ მოციქულნი:
მოართვეს და შესვეს ვირზე!



უკანაც თვით ჩამოუდგენ
და ურტყამდენ ჯოხებს კუდში,
როცა თავი ზედ „პასაჟირს“
არხეინად ჰქონდა ქუდში.

მხოლოთ, როცა ხალხი გზაში
მას ბზის ტოტებს წინ უფენდა,
ვირი ზლაზვნით ვლიდა გზას და
სიმძიმის ქვეშ მწარედ ჰკმენდა..

ამბობენ, თუ სხვა პატივიც
ბევრი მისცა ქრისტეს ხალხმა,
და ვის ახსოვს, თუ ამ პატივს
ვირის ოფლიც ვით შეახმა...

ჰა, ორ ათას წელზე მეტი
ხალხი ქრისტეს კვლავაც ადიდებს,
მაგრამ ვირის ამაგზე კი
აქ არავინ ხმას არ იღებს..,

იქნებ მცირე მაგალითით
დასაბუთდა ეს ამაგი?
იქნება ხალხს სხვა არ ახსოვს
ქრისტეს ვირის ამხანაგი?

ის ერთი-ღა იყო იქნებ,
რომ გადამშა ზურგზე ტყავი,
თორემ ყველა სხვა ხსნილია
მსგავს შრომისგან „ვირის თავი“?



არ ვიცი, ეს ქრისტეს სჯულში
როგორ არის გადაჭრილი:
ჩათვლილი აქვს ვირს ამაგი,
თუა ფუჭედ გადაყრილი..

იმ უშორეს საკითხისგან
თავს ხსნილად ვგრძნობ თუმცა შეც
დღეს,
მაგრამ შემდგომ, ღვთის სახელით,
განა, ცოტა ვირი ხედნეს?!..

ჰაზირა.

# თავი იმართლა

ნახ. დონის

— ეს რა არის რომ „შობის ხე“ გაგიწყვია?! აკი შენ „ურწმუნოთა ცავშირი“-ს წევრი ხარ?!

— ვერა ხედავ როგორ არის გაწყობილი? ზედ სულ წმინდანები და ღმერთები ჰკიდია!



# უცაბედი შემთხვევა

უდაბნოს გზის პირას გამოქვაბულში ზის მარიამი შეხვეულ ბავშვით და იოსები, ჭაღარა მოხუცი.

**იოსები:** — ეხლაც იტყვი, დედაკაცო, რომ პატიოსანი ხარ? ეს ბავში ვისია?

**მარიამი:** — აი დაგიდგეს თვალები. ხომ იცი, კაძახო, შენ ჩემთვის ხელიც არ გიხლია? სული წმინდა გადმოვიდა ჩემზე და ძე ჩამესახა მუცელში.

**იოსები:**— კაი სული წმინდაა შენმა სისცოცხლემ! როდის იყო, დედაკაცო, რომ სული წმინდით ჩდებოდა კაცი? ამ გზაში რომ დაგემართა ეს უბედურება, ამას ვჩივი, თორემ, სახლში რომ ვიყოთ, ვინ იტყოდა რამეს. ვის სახელზე ჩავაწერიო ახალი დაბადებული? ჩემს სახელზე რომ ჩავაწერინო, ხომ გაუკვირდებათ და შემეკითხებიან: „ბებერო, რაფერ გააკეთე შვილიო?“.

**მარიამი:** — გეტყვის და შენც უთხარი: „სული წმინდის გაკეთებულიათქო.

**იოსები:** — აი ღმერთი გაგლეჯს შენს თავს. ვინ დაგიჯერებს, თორემ კი ეტყვი! ქალო, არ მეტყვი ვისია მაგი ბავშვი?..

**მარიამი:** — ხომ გეუბნები: სული წმინდამ ჩამისახა მეთქი?!

**იოსები:** — მოხუცი კაცი რომ ასეთ გოგოს მეიყვან ცოლად, სული წმინდაც კი გაგიჩდება და უწმინდურიც, არა, რა ჩემი საქმე იყო ამ თვარმეტი წლის გოგოს ცოლად შერთვა?!

**მარიამი:** — ვინ გეხვეწებოდა? მონასტრიდან წამომიყვანე, იქ ბერები მოატყუე: „ჩემი ნათესავიაო“: მერე კი ცოლად ამიყვანე. სული წმინდა რომ არ გამოჩენილიყო, ველარც მე შევიქნებოდი დედა და ვერც შენ მამა.

**იოსები:** — დედაკაცო, მე მაგ ბუშის მამა არა ვარ! ეს ჩემი შვილი არ არის!

**მარიამი:** — აბა ვისი უნდა იყოს შენის აზრით?

**იოსები:** — ვისი და ის გაბერილი რომ დაეთრევოდა ყოველ დღე შენთან.

**მარიამი:** — უი თვალები კი დამიდგეს! ისეთი წმინდა კაცზე ამბობ შენ ასეთ სიტყვებს? სსუ! ვიღაცები მოდიან.

**მწყემსი:** — ვარსკვლავი ჩვენს ბაგას დაყურებს!

**მწყემსი:** — ბაგაში ვიღაც ქალი ზის.

**მწყემსი:** — ქალს კალთაში გახვეული ბავში ყავს.

**მწყემსი:** — ხალხნო, მესია ჩვენს ბაგაში იშვა...

**ყველანი:** — მესია!.. მესია!.. წავიდეთ... საჩუქრები და ძღვენი მოვართვათ და თაყვანი ვსცეთ!

**მარიამი:** — აკი გეუბნებოდი ჩვენი შვილი ღვთის ძეა მეთქი, ხომ ხედავ თაყვანს სცემენ მას.

**იოსები:**—მე მაინც იმ გაბრიელა ბერის შვილი მგონია შენთან რომ დადიოდა.

ჯეელი ბიჭია, 25 წლისაა, რაღაც საეჭვო მოქცევა აქვს.

**მარიამი:**—მერე რაა, რომ ჯეელია?! სამაგიეროთ ღვთის კაცია, სიბინძურეს ის არ ჩაიდენს, სწორეთ იმის წყალობითაა, რომ მე ღმერთთან კავშირი გავაბი და ღვთის ძე ვშობე.

**იოსები:**—ვაი იმას გაუსკდეს მიწა, მან ჩემი საწოლი შებილწა.

**მარიამი:** — არაფერიც არ შეუბილწავს. მან მხოლოთ მითხრა, რომ მე ვშობ ძეს, რომელიც იქნება ძე ღვთისა.

**იოსები:** — შენისთანა სულელს მასე მოატყუებენ, აბა, რომელი ღმერთი იბადება, ქალო, მუცლიდან?!

**მარიამი:** — შენ არ გჯერა, ხომ?! ძალიან კარგი, მალე გაიგებ, რომ ჩემი შვილი ღვთის ძეა და არა უბრალო მომაკვდავი.

**იოსები:** — ნუ გამომიყვან, ქალო, მოთმინებიდან ამ მოხუცებულ კაცს, თორემ მოვავლებ ხელს მაგ შენ ბაჭიას, შემოვაფერთხებ აგერ კლდეზე და ნახე მერე რაც ღვთის შვილი იქნება, შენ ვიღაცა ბერს თავი მოატყუებიე და ეხლა გინდა მეც მომატყუოთ? არა, ბიძია, მასეთებით ფონს ვერ გახვალთ.

**მარიამი:** — ძალიან კარგი, მალე ნახავ, რომ ჩემმა ბიჭუნიამ მთელი ქვეყანა აალაპარაკოს და ღმერთის ადგილი დაიკავოს.

**იოსები** — (ამოიოხრებს): ვაი ასეთ მოსწრებას! ის დღე რად არ დაიქცა, როცა შენ მონასტრიდან წამოგიყვანე! განა არ ვიცოდი, რომ იქ გარყვნილების ბუდეა?! სად გავახილო აწი თვალი.

**პ. ობოლი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპარიკმახეროში

ნახ. მარჯანის



ქრისტე ღმერთი ღვთისმშობელი

# გოდება იოანე მღვდლისა

მეტი ფიქრისაგან ჭაღარა თმა ისევ გამიშავდა. წინად რა მიშავდა: ვიყავი, როგორც რომის პაპა, შემეძლო მთელი სოფელი გადამეყლაპა. ყველა პატივს მცემდა: გლეხი, აზნაური, თავადი: ყველაფერი მოდიოდა თავის თავადა. სუფრაზე ვიყავ ყველგან თამადა. ეხლა: დამიკეტეს ეკლესია. იმდენი, რამდენიც მე, იობსაც არ დაუკვნესია. მაგონდება საბრალო იერემია, მისი ცრემლი და გოდება. რამდენი ძვირფასი დღე და წუთი მომაგონდება: წამოვისკუპებდი ცხვირზე სათვალეებს და სასოებით ვკითხულობდი სახარებას, ბიბლიას; ეხლა ვზივარ ჩემს დანგრეულ აივანზე, როგორც საცოდავათ აბუზული ნიბლია. გამომიქროლებს ხოლმე ვიღაც „კომცომოლი“ სატანა (არავის არ შეუძლია ჩემი ატანა) და ისეთი ზიზღით დამიწყებს მზერას, თითქოს ვიყო ყვავი ან ძერა.

ერთხელ გამიწყრა ღმერთი და ქალაქში წაველი, გავიარე, პროსპექტი რუსთაველის. ანაფორა მეცვა დახეული. ვხედავ, მომვარდა **ტარტაროზი, ონისიმე** და **გადარეული. ტარტაროზმა** ჩანგალი მომიღერა, **ონისიმემ** უცნაური ლექსებით იწყო სიმღერა, **გადარეულმა** გრძელ წვერებში ჩამავლო ხელი და ჩამომატარეს პამპულობით ქუჩები გრძელი. ხალხი დამეხვია, როგორც ფუტკარი. საცოდავის ხმით შებრალება ვისაც ვთხოვე, ვისაც უთხარი, ყველამ ერთბაშათ მომაყარა ბრანწი და სტვენა, (წვერმა სათითაოდ შიშისაგან დაიწყო ცვენა). მაინც რა საშინელი ყოფილა ეს **ტარტაროზი** ან ეს ვიღაც **გადარეული** (ღვთისაგან იქნეს მუდამ წყეული).

ეხლა აქ ვიმალები, სოფლად. დავქვრივდი დავდივარ ობლად. მოდის შობა და გული მიცემს უფრო გამალებით. ამდენ ულმერთოებს სად დავემალები? ჩავიკეტები ჩემს ბნელ ბინაში, ხატის წინაშე დავიწყებ ლოცვას, ეგებ გადურჩე ანთებას, სახადს. ჩემი ეკლესიის ეზოში აღარავინ დარეკავს გაბზარულ ზარებს, ჩემთან მოსვლას ყველა დაიზარებს, ყველა დამიწყებს ზიზღით ყურებას; მხოლოდ მომილოცავს უბედურებას ახალ წლის დილით (ხახვით და მწვანილით) გაკოტრებული ვაჭარი გეო და უკბილო დიაკონი პავლე; მიმოავლებენ დამშეულ თვალებს ჩემს ქაჩალ სუფრას (ხელის გულივით სუფთას) და ნერწყვგამშრალნი უკანვე წავლენ.

ლონემიხდილი, როცა დავწვები, მძიმე ფიქრებში ცრემლით სვცდება თვალი, ლაწვები, ტანში მივლის ჟრუანტელი, ცხელი ანთება და ხელგაშვერილს მომელანდება. შემწვარი გოჭი, ცხვრის ბეჭი და ღვინო კახური (ძლიერო ღმერთო! მფარველი კალთა გადამახურე!..) მომელანდება: თითქოს ღამდება, გაანათებენ კელაპტრები ჩემს ეკლესიას, (თუ დამთანხმდებით, ასეთი დრო უკეთესია) თითქოს იწყებენ გუგუნს ზარები (ამ დროს, ტუჩს ეკვრის ღიმილი სიამით და მეტ გახარებით) და ჩემი მრევლი (დატვირთული ტაბლებით ბევრით) მოაწყდება საყდრის გალავანს, და მიმელიან სასოებით, როგორც ფალავანს. აკიაფდება ჩემი ტრაპეზი, მელის შრიალით სახარება, ფეშხუმ-ოლარი და ღვთისმშობელი პაწა ბავშვით ნაზად მწოლარე.

და როს შესწყდება რეკა ზარების, საყდარი ხალხით დაიფარება, ათასი ხელი კელაპტრებით იწყებს ნათებას, ელის ტრაპეზი ჩემს ღვთაებრივ გამოცხადებას, მსწრაფლ წამოვარდები სიხარულით სარეცელიდან, გავახელ თვალებს და... ჩემს ჩამტვრეულ ფანჯრის მინაში ვხედავ სიცხადეს, ჩემს თავს კი დახრილს საცოდავათ იმის წინაშე; ვხედავ ფანჯრიდან გარედ შარაში, კომსომოლებს გაუმართავთ საშობო თამაში.

**ზორბა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სინანული

ნახ. დონის



— აფსუს! ჩემი გაჩენილი ქვეყნის რა კარგი და ზორბა ნაჭერი დამეკარგა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყაისარ...

ყაისარის ნამდვილი გვარი გახლავთ მურაბიძე. იგი ჩემი კარგი ნაცნობია. თითქმის მეგობარ - ამხანაგიც. მარა რა ვქნა: სიმრათლე და ჭეშმარიტება ყველაფერს მირჩევნია, ვერ დავფარავ, რომ იგი ახლა მურაბიძე კი არა, ნამდვილი „ცრუპენტელაძეა“.

გადაჭარბებულათ გეჩვენებათ? მით უკეთესი: ამ შემთხვევაში სჯობია გადაჭარბება, ძლიერი ხაზების გასმა, ზედმეტი საღებავების დახარჯვა, ჩვენი ნაკლისა და დეფექტების გვერდის ახვევა, მისი უყურადღებოთ დატოვება უფრო მეტს ზიანს მოგვიტანს და გვავნებს.

ყაისარის შესახებ ეს ერთი ხანია ორი ერთმანეთს ისე ვერ დალაპარაკებია, რომ ხშირად არ გაიგონოთ შემდეგი კითხვა-პასუხები:

1. — ვინ გითხრა შენს ეს ამბავი?

— ყაისარმა.

— ვაი, მოგატყუებს. შენ უბედურო.

2.— დაგპირდა?

— ყაისარმა.

— მოგატყუებს, იცოდე.

3. — რა დროისთვის დაგიბარა?

— ხვალ, 12 საათზე.

— მოგატყუებს უსათუოთ.

4. —როგორი შეხედულების ხართ თქვენ ყაისარზე?

— არა უშავს, მარა ტყუილი იცის იმ საწყალმა.

5. — ერთი ქენი. შენ, მიდი ყაისართან და მაშინ იქნება ეშველოს შენს საქმეს. ეს საკითხი მას ეხება, მისი მოვალეობა არის.

— ამაზე მეც ქე ვიფიქრე, სხვებმაც მირჩიეს, მარა ისიც დაუმატეს თუ რამეს დაგპირდა და გამოგისტუმრა აუცილებლად მოგატყუებსო.

ასეთია ხან ფარული და ხან აშკარა ატესტაცია მრავალი პარტიული და უპარტიო მუშა - მოსამსახურეების მხრით ყაისარის შესახებ და, აბა, ერთი მითხარით: გინდა არ გინდა რით არ უნდა იყოს იგი „ცრუპენტელაძე“?

ყაისარი ცოდნა მინალები პიროვნება არის. ინტელიგენტი, ერთ-ერთი ფრიად სერიოზული საბჭოთა დაწესებულების მთავარი განყოფილების უფროსი და ხელმძღვანელი.

განგებ დააკვირდით: თითქმის ყოველგან შეხვდებით მას, ყოველგან იცნობთ. სიმპატიური, შავგვრემანი, მოგრძო, სავსე გაპარსული პირისახით, საშუალოზე ცოტათი უფრო მაღალი ტანის, 30-35 წლის, ლაპარაკის უნარიც აქვს, ენაც კარგათ უჭრის, ჭკუაც საკმაოთ მოეპოვება და სხვა.

მაგრამ, რაც უმთავრესია, ეს ის, რომ ყაისარი ბუნებით არც კარიერისტია, არც ინტრიგანი, არც ბოროტი, არც შურიანი და, წარმოიდგინეთ— არც ცრუ. მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი მაინც „ცრუპენტელაძეა“.

რისთვის? რატომ?

პირველ ყოვლისა ყაისარს „მოცლა არა აქვს“. ის ყოველთვის ან არ იმყოფება თავის დაწესებულებაში ან და, თუ იმყოფება, უსათოოთ „გარიბის“ იქიდან.

ერთი სიტყვით, არის და არც არის, არსებობს და არც არსებობს.

ყაისარი დაახლოვებით შემდეგნაირათ ისტუმრებს ყველა მთხოვნელებს: ჰო, თქვენ მიდით მდივანთან და იმას მოელაპარაკეთ, — ეუბნება იგი ერთს. და აქ ყაისარი სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ მდივანი აქ არაფერ შუაშია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მარა თავიდან იშორებს მთხოვნელს, ანუ, სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ატყუილებს, ხოლო ამას ნაკლებათ გრძნობს თვითონ ყაისარი, ნაკლებათ უწევს ანგარიშს, ვინაიდან მას „არა სცალია“.

თქვენ ხვალ მოდით დილის 10 საათზე, — აიმედებს იგი მეორეს. და აქაც ყაისარი თავის გულში დარწმუნებულია იმაში, რომ ხვალინდელი დილის 10 საათი არაფერ შუაშია, ხვალ შეიძლება ის სულ არ გამოცხადდეს დაწესებულებაში, ან და, ვინიცობაა, თუ გამოცხადდა, სულ ერთია, სხვა რამეს მოიგონებს, ვინაიდან მას „არა სცალია“.

დიდის სიამოვნებით... მე შევეცდები, რომ თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო. თუმცა მარტო ჩემზეც არ არის დამოკიდებული. დარწმუნებული იყავით, მე თვითონ... დიახ, მე თვითონ..:, — ეუბნება იგი მესამეს: და აქაც მან იცის წინასწარ, რომ იგი თავს ნაკლებათ შეიწუხებს დაპირების შესასრულებლად.

ეს „იმ“ დაწესებულების საქმეა, მიმართეთ იქ. — ეუბნება იგი მეოთხეს. თუმცა კარგათ იცის, რომ საკითხი ნაწილობრივ მისი დაწესებულების ერთ-ერთ დარგსაც შეეხება და უიმისოთ მაინც არ გადაიჭრება.

„ალო“!.. ვინ ლაპარაკობს?.: ჰო, იყო ჩემთან.. გუშინ... კი... კი... მოვიდეს კაცო, ჩემთან... მე მისთვის უარი არ მითქვამს... კარგი..: კი.:: კი..: გამარჯვებით!:: — უპასუხებს ყაისარი ვიღაცას ტელეფონში და იცის, გაკრგა, ძალიან კარგათ იცის, რომ ის აქაც დაპირებას არ შეასრულებს, ტყუილი გამოუა, მარა რა გაეწყობა, მას საამისო „დრო არა აქვს“, უფრო სერიოზული საქმეებით არის დატვირთული.

გათავდა? არის კიდევ ვინმე? — კითხულობს ბოლოს ყაისარი და ემზადება პირდაპირ „გასაქცევად“.

რა დაემართა ყაისარს? რით არის იგი შეპყრობილი?

დაუსრულებელ სხდომებზე, თათბირებზე, კომისიებში და სადირექტივო ორგანოებში სირბილით! და სწორეთ ამიტომ დადის ყაისარი, მიდის ყაისარი და მოდის ყაისარი. მოძრაობენ ფეხები, მუშაობენ ფეხები. თავი? ყაისარმა არც იცის რას აკეთებს თავი. იქ ნამდვილი ქაოსი არის. მარა მაინც და მაინც თავზე ფიქრი არ აწუხებს ყაისარს. მას ნაკლებათ ეშინია მისი.

სამაგიეროთ, უფრო ეშინია და ერიდება ფეხების, (ავტომობილით იშვიათად დადის) რომლებითაც იგი დადის, მიდის და მოდის შესათანხმებლათ, მოსასმენათ და დასასწორებლად. ეს არის მთავარი. აქ თუ „კარგათ“ აქვს საქმე ყაისარს, მაშინ მისთვის ყველაფერი რიგზე, წესიერათ და კარგათ მიმდინარეობს.

დაწესებულებაშიც არა აქვს ისე ცუდათ საქმე: ტკბილი ენით იმადლიერებს და ისტუმრებს ყველას და იოლათ მიდის თორემ რა ეშველებოდა?!

ასე გონია ყაისარს, ასე ფიქრობს იგი და არწმუნებს თავის თავს. მარა ის კი არ იცის, იმას კი ვერ მიმხვდარა ჯერ-ჯერობით, თუ რა ძვირად უჯდება მას ეს „იოლათ სვლა“: მურაბიძის მაგიერ — „ცრუპენტელაძე“. აი, შედეგი!

ყაისარი მართლაც გულწრფელათ ფიქრობს, რომ იგი ამ გვარათ თავს ართმევს ყველა საქმეებს, რომ უამისოთ შეუძლებელი იქნებოდა მისი მუშაობა. გასაქანს აღარ მისცემდენ, დაეხვეოდენ, უკან გამოუდგებოდენ, თავისუფლად ამოსუნთქვის ნებასაც აღარ მისცემდენ, კაბინეტში ძლიათ შეუვარდებოდენ და, ვინ იცის, ეგება ვინმე თავზედ ერთი მაგრათაც კი მიეზეგვა. არა, „იქ მიდი“, „აქ მოდი“, „ხვალ მოდი“ და „ზეგ მოდი“, რომ არ შველოდეს ყაისარს, აქამდის მართლაც ცუდათ წავიდოდა მისი საქმე. ახლა? ახლა კიკიდევ არა უშავს. ასე თუ ისე მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახკინმრეწვში

ამ საშობაოთ სახკინმრეწვს
უნდა მივართვა ძღვენია;
(თუმცა ამ მცირე ძღვენისა
მირთმევა მეტად მცხვენია).
კომერცნაწილის უფროსი
(აბრამოვიჩი გვარია)
მელა-კუდებსა მფარველობს...
ძველი დრო უყვარს გვარიან.

---

„ძიგანი რეჟისორობსო“ —
ასეთი ხმაა ხალხშია.
„რეჟთანაშემწე მასა ჰყავს
პირად მსახურად სახლშია“.

---

„გურჯანყმა“ ბევრი იმსხვერპლა...
მსხვერპლზე მეტი კი—ფულები.
მისი ჩვენების ლოდინში
ჩამოდნა ბევრის გულები.

---

სამხატვრო საბჭოს უკვე ჰყავს
დამრიგებელი ბებია...
მწერლები მოვიახლოვეთ:
ბიდონის მიღწევებია.

---

ჩაი, ყველ-პურით ნაზუქით
მან დარბაზობა ნახაო.
გულუხვი პურმარილითა
მგოსანთ აუვსო ხახაო.

---

ბათომის ექსპედიცია.
ქათამს ყიდულობს ხონშია.
(გემრიელ ქათმის შეჭმისა
ვის არ ექნება ხოშია?).

---

ექსპედიციას ამშვენებს:
თავადი, აზნაურია.
აქ ვინ არ არის? რომელი?
ვინ იცის სადაურია.

---

ტა[illegible]ზ, ჯერ ეს იკმარე,
ახე[illegible]შაობ ცისმარა.
თუ აქ ტყუილი ერიოს,
მოგიკვდეს შენი

ცისკარა.

# „შევიწროვებული“

ნახ. ტაბატაძის



**ღმერთი:** — ის ოხრები თითქოს ჩემი მორწმუნენია, მაგრამ მომავალ ომისათვის ისე ემზადებიან, რომ მათი ჰაეროპლანი და ზარბაზანი აქედანაც ამარეკვინებს გუდა-ნაბადს.

---

შაობს, აგერ რამდენიმე წელიწადია ასრულებს ერთ და იმავე მოვალეობას, საქმეებს თავს ართმევს. არასოდეს არ განუცხადებია, თვითონ მას რაიმე უკმაყოფილება, არასოდეს არ გაუზიარებია და უთქვამს ვისმესთვის მისი ასეთი რთული მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ. მისთვის ყველაფერი ეს ერთხელ და სამუდამოთ დაკანონებული სისტემა არის.

ასე ფიქრობს ყაისარი, ასე გონია მას და არ იცის, რომ მიმხვდარა და ვერ შეუგნია, რომ იგი თავისდა და სხვისდა უნებურათ თანდათანობით, ნელ-ნელა და შეუმჩნევლად „ცრუპენტელაძე“ გახთა. არ იცის ის, რაც უკვე უმეტესობამ კარგა ხანია გაიგო და მიხვდა.

არა, ეს აუტანელია, ეს ყველაფერზე უარესია. „ცრუი“, ფუ! რა საზიზღარი, დამამცირებელი, ადამიანის ცოცხლათ დამმარხველი სიტყვა არის!..

რაც უნდა კარგი შეხედულების იყო ადამიანზე, თუ ვან ეს სიტყვა დაიმსახურა, მორჩა: მისგან ამას შემდეგ წმინდა საქმეც კი ჰუჭყიანათ მოგეჩვენება.

და ამიტომ კი არ მძულს, არამედ გულ მოსული ვარ და თან მებრალება ყაისარი. მინდა როგორმე დავეხმარო. მინდა მე თვითონ ვუამბო და ვაცნობო მას მისი ასეთი მდგომარეობის შესახებ და ამ პატარა ამბავის მიზანიც სწორედ ეგ არის.

ჰო, მებრალება ყაისარი. არ არის იგი ბუნებით ცრუ და ორპირი. არ არის ურიგო „ბიჭი“. პირიქით კეთილი და გულუბრყვილოა.

მივეშველოთ, დავეხმაროთ, ვიხსნათ და გამოვასწოროთ ყაისარი!

და ამასთან ერთად, ძვირფასო ჩემო მეგობარ - ამხანაგებო, თვითეული ჩვენგანი სასტიკად უნდა ერიდოს და უფრთხილდეს ყაისარის ბედს.

ამისათვის ხანდახან უმჯობესია ვიყოთ ნაკლები გამგონე, მარა, სამაგიეროთ, მაგარი, პირდაპირი, გაუტეხელი და ამავე დროს წინ დახედული.

ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ სწორედ ეს თვისება არ აკლდეს ყაისარს! აი, რა უშლის მას ხელს.

ვისურვებ, რომ ყველას, ვისაც ასეთი ნაკლი აქვს გამოესწორებიოს იგი. მათ შორის ყაისარ... მურაბიძესაც.

იმედია, ამაში ჩვენ მას ყველანი გულწრფელათ დავეხმარებით.

ისმინე შენც ყველაფერი ეს, ჩემო ყაისარ.

და თუ მაინცა და მაინც გეწყინება ჩემი ეს მხილება, რა ვუყო, გეწყინოს.

ანათემა

# უკანასკნელი სხდომა

ლუგანოს ქალაქში, მინარეს ტბის პირად ელვარებს სასახლე.

გრძელ სუფრაზე დაგრძელებულან ერთა ლიგის დელეგატები.

ირგვლივ სარკმივით ჩამწკრივებულან ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, ლაქიები.

ქანდარაზე ახლად შეჟურნილ მამალივით წამოდგა ბრიანი სუფრის თავიდან და განაცხადა:

— ერთა ლიგის მეორმოცდაცამეტე სესიის უკანასკნელ სხდომას გახსნილად ვაცხადებ!

რომელღაც ამერიკელი დელეგატი გაუბედავათ ბუტბუტებს:

— რა ვქნა, დღეს აკი თავმჯდომარეთ სხვა უნდა ყოფილიყო?

ბრიანმა ყური მოჰკრა ამ ალმაშფოთებელ შენიშვნას:

—როგორ? ვერსალის წმიდა ხელშეკრულებით, განა, მე უფლება არა მაქვს თავმჯდომარე ვიყო ყველგან და ყოველთვის, როცა კი მოვისურვებ?

ზალესკის გმირული წინამძღოლობით ყველანი ტაშს უკრავენ. მხოლოდ შტრეზემანმა მოახერხა სიჩუმე, დიდი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ.

ბრიანი განაგრძობს ქირისოფლის მოუწურავად:

— პატივცემულო დელეგატებო! ნება მომეცით დავლიო სადღეგრძელო... რაო? ვერსალის წმიდა ხელშეკრულებით მე შემიძლია თამადაც ვიყო, როცა მომესურვება. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, მე საუცხოვოდ დავისვენე ამ ორი კვირის განმავლობაში. ეს მორიგი შვებულება რომ არა მქონდეს ხოლმე—ისე რა ჯანი შემრჩებოდა. ცოტაოდენ აქ გავატარებ ხოლმე დროებას შეხვედრაში, ტკბილ მასლაათში და სტუმრიანობაში. ამ გამომშვიდობების დროს მე მინდა დავლიო სადღეგრძელო ჩემი დაჩაგრული და საფრთხით გარშემორტყმული სამშობლოსი. მე მინდა ვადღეგრძელო მისი მშვიდობიანობის მოყვარული პატარა არმია. მიუხედავად ისეთი ძლიერი და საუკეთესოდ შეიარაღებული მეზობლისა, როგორც გერმანია, ჩემი სამშობლო სულგრძელობას არა ღალატობს და საგარანტიოდ არ მიესწრაფის ბერლინისაკენ. ჩვენ მოკრძალებით ვჯერდებით რეინის ოლქსაც. სრულებით არ ავსდევთ ბოროტ ენებს, რომლებიც მოითხოვენ რეინის დაცლას, რადგან ამითი დაირღვევა კეთილმეზობლური განწყობილება გერმანიასთან.

„პატივცემულო ბატონებო! ერთა ლიგის სესია — ეს ერთად ერთი შემთხვევაა ხოლმე, როცა ყოველგვარ ვალდებულობას მოწყვეტილია კაცი და თამამად შეუძლია ილაპარაკოს ყოველ განყენებულ საგანზე, მაგალითად: საერთო მშვიდობიანობა, განიარაღება და სხვა ასეთი გასართობი რამ. გულწრფელად გმადლობთ ამ ხანმოკლე დროების გატარებისთვის და ვისურვებ პუანკარეს დღეგრძელობას! მაშ, გაუმარჯოს საფრანგეთს! ალავერდი—შტრეზემანთან!

ყველა ოლტაცებით ტაშს უკრავს. მხოლოდ შტრეზემანი აფუჩეჩებს ტაშს ჭიქის გამორთმევაში. :

**შტრეზემანი.** პატივცემულ ბრიანის ხელიდან ჭიქის მიღება მე მიმაჩნია საუკეთესო საბუთად, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებობს სამშვიდობო ზავი. როცა მე ლუგანოსკენ მოვემგზავრებოდი, ყოველივე საქმეები ჩავკეტე ბერლინში და ისე წამოვედი აქ თავისუფლად. სახელმძღვანელოთა და გზის გასარკვევად ვიმყოფინე მხოლოდ ლოკარნოს ხელშეკრულება. აგერ მაქვს უბეში, თუ არა გჯერათ. მხოლოდ არავის არ მოუკითხია და იმიტომ არ გამოვაჩინე. მართალია, ბერლინიდან დამაბარეს, რომ ერთხელ მაინც დამელია აქ სადღეგრძელო რეინის ოლქის დასაცლელად, მაგრამ თუ ეს სადღეგრძელო ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებას—მაშინ ხმასაც არ ამოვიღებ. ბევრს არა სჯერა, რომ მე ჯიბეში ყუმბარა და რევოლვერი არ მედოს. გეფიცებით ვერსალის ხელშეკრულებას, რომ თეთრი ხელსახოცის მეტი არაფერი მაქვს. ესეც იმ შემთხვევისათვის, რომ ყოველთვის შემეძლოს მშვიდობიანობის დროშის აფრიალება. მაშ, გაუმარჯოს ვერსალისა და ლოკარნოის ხელშეკრულებას!

ყველანი ტაშს უკრავენ. მხოლოდ ზალესკი აფხორილა ინდაურივით.

აჰა, ჩემბერლენიც წამოდგა მძიმეთ. მონოკლში გახედა ყველას და ღმერთი ახსენა:

— გაუმარჯოს ინგლისის პატარა ფლოტს, პატარა არმიას, პატარა საჰაერო ესკადრილიას! მე ვისურვებ, ყველა მოსულიყოთ ჭკუაზე და მიჰყოლოდით ინგლისის ლომნაჭერ დროშას აღმოსავლეთის ბარბაროსების დასამხობელად. მე ნაწყენი ვარ, ძალიან ნაწყენი ვარ, რომ არავის არ გინდათ ჯვაროსნული ომის გამოცხადება და ამითი მთელი ჩემი ამდენი ხნის მუშაობა ლამის უნაყოფოდ ჩატარდეს. ყველაზე მეტი საყვედური ამ მხრივ, ცხადია, ბატონ შტრეზემანს შეხვდება. ვენაცვალე ისევ პოლონეთსა და რუმინეთს, იქ რომ მიბია დაგეშილი ფინიებივით (უკაცრავად! მაგრამ არა უშავს რა!). მე ბედნიერათ მიმაჩნია თავი, რომ ლიტვინოვს არ ვხედავ ჩვენ წვეულებაში და არ მეშხამება ეს დასვენების კვირეები. მაშ, უკანასკნელად ავსწევ ჭიქას და ვისურვებ საბჭოთა კავშირის ალგვას პირიდან დედამიწისა!

ბრიანი ოლტაცებულია ჩემბერლენის გენიალური სიტყვით და მხურვალედ ართმევს ხელს. სხვებისაგან კი მოისმის აბნეული ტაშისცემა.

აქ რიხიანად წამოდგა იტალიელი გრანდი:

— ეხლა მეც მომისმინეთ! თუ არ ისურვებთ. ძალათი მოგასმენინებთ დიდი იტალიის ძლევამოსილ ნებისყოფას. ჩვენ დუჩე მუსოლინს არა სცალია დასასვენებლათ, თორემ ისიც აქ იქნებოდა. მაგრამ მე, ერთგული ქვეშევრდომი მისი, ხმალ ამოწვდით დავიცავ იმის სახელს და იტალიის დროშას! თქვენ რომ პატივისცემა გქონდეთ ჩვენი ქვეყნისა, ჩემი ასეთი თავგამოდების დროს უნდა უკრავდეთ ჯოვინეცცას, უკვდავ ფაშისტურ ჰიმნს, ჯოვინეცცას. მაგრამ ნეიტრალურ სახელმწიფოში მე ომს ვერ გამოვაცხადებ. მხოლოდ თავის დროზე ჯავრს კი ვიყრით სამხრეთ-სლავიაზე მაინც. აგრეთვე ერთ მაგარ პროტესტსაც ვაცხადებ, იცით, რაზე? (მიუბრუნდება ჩემბერლენს და ბრიანს) როცა თქვენ საყაჩაღოთ მიდიხართ ხოლმე გერმანიაში, ჩვენც უნდა დაგვიძახოთ ყოველთვის, თორემ თქვენისთანა მეგობარს ხელათ შევაქცევთ ზურგს. მე შენ გეტყვი და ღალატი არ გვეხერხება, თუ! მაშ, გაუმარჯოს მუსოლინს, მუსოლინს და კვლავ მუსოლინს! ალავერდი ზალესკისთან!

ზალესკი მღელვარებით ართმევს ჭიქას.

— მაპატიეთ მღელვარება, მაგრამ მე არ შემიძლიან მშვიდათ ვიჯდე, როცა იქ, ჩვენ სილეზიაში გერმანელ მოღალატეებს მოუკალათნიათ და აქ კი გვერდში მიზის შტრეზემანი..

გაშმაგებული შტრეზემანი წამოხტება და ზალესკის ზედიზედ ესვრის სათვალეებს, ჩიბუხს, პორთფელს, ლოკარნოს ხელშეკრულებასაც და თან იძახის:

— ვაი, რომ სხვა იარაღი აღარა მაქვს, თორემ შავ დღეს დაგაყრიდი!

ყბადაისხლიანებული ზალესკი საშველად უძახის: ბრიანს, ჩემბერლენს, გრანდს. თან სიბრაზით ამტვრევს თეფშებს და ჭიქებს.

ყველაფერი აირია. ქუდმოგლეჯილი გარბიან ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, ლაქიები. დელეგატებმაც ყველამ გაუსწრეს ერთი ერთმანეთს.

ბოლოს დარბაზში დარჩა მიმტვრეულ-მომტვრეული ავეჯი, დალეწილი ჭურჭელი, დაფხრეწილი ქაღალდები და.. ბრიანი, რომელიც ნაძალადევი დარბაისლობით აცხადებს:

— ერთა ლიგის მეორმოცდაცამეტე სესიას დახურულად ვაცხადებ.

**ნადირი.**

ნახ. აპ. ქუთათელაძისა




— საშობაო საჩუქრად ეს ბეჭედი მაინც მიყიდე!
— ამდენს ერთად ვერ გავფლანგავ!

# „მიმქრალი მარავანდედი“

(ვ. ბარნოვის არ გეგონოთ!)

## სასცენარო ლიბრეტო კინო-ოპერისათვის

რედაქციაში თანამშრომლებს თათბირი გვქონდა:

— ჩვენს პროფესორებს მივმართოთ, და მათ ეცოდინებათ, თუ როდის დაიბადა ქრისტე!

— პროფესორებიდან ხეირი არ იქნება. ქრისტეს დაბადება კი არა, შოთას დაბადების წელი არ იციან... ისინი უფრო დაგვაბნევენ!

— შოთას დაბადება უფრო ძველი ამბავია, ვიდრე ქრისტესი!—წამოიძახა ვიღაცამ. (წარმოიდგინეთ ასეთიც გამოგვერია!).

— ეგებ ზაქარია ჭიჭინაძეს ახსოვს?!

— ზაქარიას როგორ ემახსოვრება! კაცი ქრისტეს დაბადების დროს უკვე შეჭალარებული იყო!

— ყველას სჯობია—რომელიმე მღვდელს ვკითხოთ!

— მართალია, მართალი!

და ქრისტეს დაბადების წლის გაგება მე მომანდევს.

— მამაო, ნუ დაიზარებთ, გვითხარით: როდის დაიბადა ქრისტე?—მოკრძალებით შევეკითხე და ხელზე ვემთხვიე. (ვსტყუი, ხელზე არ მიკოცნია).

— ქრისტეს დაბადება კი არა, გუშინ რა ვსჭამე ის არ მახსოვს!—გაჯავრებით გამოიმეტა პასუხის გაცემა.

— ალბად არაფერი გიჭამიათ და ამიტომ დაგავიწყდათ რა ჭამეთ, თორემ ქრისტეს დაბადება როგორ არ გემახსოვრებათ?!

— რა ჩამაცივდი, კაცო?! ისე გამოჩერჩეტებული ვარ, რომ აღარაფერი აღარ მახსოვს.

ამ დროს მოისმა რეკა.

— ღმერთო მომხედე!—ჩაილაპარაკა მღვდელმა და პირჯვარი დაიწერა...—ფუი, ეშმაკს! ალმასკომის საათი ყოფილა; მე კი ეკლესიის ზარი მეგონა!—წააფურთხა და ბუზღუნით ხვლას მოუჩქარა.

გამეცინა და საათის რეკაზე მომაგონდა:

— ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილებას ეცოდინება... კარგად მახსოვს, რომ ქრისტე დაიბადა რომელიღაც აღწერის დროს.

ამ გაფიქრების შემდეგ არ გასულიყო ხუთი წუთიც, რომ ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილების გამგის კაბინეტში ამხ. შ. გომართელი, რათა თავიდან მალე მოვეშორებინე, მკვახედ და მოკლედ მეუბნებოდა:

— ქრისტეს დაბადების დროს მე აქ არ ვმუშაობდი... ჯერ ჩვენ ვამუშავებთ ძველ მასალებს, რომლებიც ეხებიან ქრისტემდე არსებულ ხანას. შენ თუ დაჩქარებით გინდა გაიგო ქრისტეს დაბადების წელი, ამის შესახებ მიმართე არჩილ რუხაძეს.

ის იყო ალმასკომიდან გამოვედი და გუმბათში საათს ავხედე დროს გასაგებად, რომ არჩილი იქვე შემხვდა.

— შენ სტატისტიკაში ხლაფორთიანი კაცი ხარ და გეცოდინება, თუ როდის დაიბადა ქრისტე?

— ჰმ! ნუ გიყვარს შენ უშნო ხუმრობა!

— კაცო, მე მართლა გეკითხები. ის კი ვიცი, რომ რომელიღაც აღწერის დროს დაიბადა, მაგრამ როდის, ეს არ ვიცი.

— ეხლა რომელი წელია?—უცბად მკითხა არჩილმა.

— 1928 წელი.

— აი სწორედ 1928 წლის წინედ დაიბადა ქრისტე!

ეხლა მივხვდი ჩვენს უგუნურებას: რა თქმა უნდა ქრისტე დაიბადა 1928 წლის წინედ. მაგრამ მე მაინც არ შევიფერე და ხუმრობაში ჩავატარე:

— ყოჩაღ არჩილ! კარგად გცოდნია სტატისტიკა! — ვუთხარი დარცხვენით და „პირი რედაქციისაკენ“ ვქენი.

---

— მე არ წავალ საიქიოს. გინდათ იქაც გამაბითურონ?!—უარზე ვიდექი.

— ჰა უხილავი გადასაცმელი და ამ წუთშივე გაქრი! — იყო ტარტაროზის მრისხანე ბრძანება.

ათი წუთის შემდეგ მე მთვარეს მივუახლოვდი და მარცხნივ უნდა შემეხვია სამოთხისაკენ, რომ თვალი მოვკარი მიცვალებულთა სულებს, რომლებიც გარშემო ეხვეოდენ ცალფრთა დაზიანებულ და პროპელერ-მიმტვრეულ ჰაეროპლანს, რომლის მფრინავს ოქმს უყენებდენ.

— რა ამბავია? რა მოხდა?—შევეკითხე ერთ სულს.

— ჩვეულებრივი ამბავი. ამ მფრინავებისანა თავხედ ხალხს ვერსად შეხვდებით.

— ჰმ! ჩვენს შოფერებს თქვენ ვერ იცნობთ, თორემ მფრინავებზე ასე არ იტყვით!

— ვიცნობ თქვენს შოფერებსაც, ჩემო კარგო! თვითონ მე შოფერმა მიმსხვერპლა, თორემ ასე ადრე რა მინდოდა აქ?! ჰო-და იმას ვამბობდი, რომ ამ მფრინავებისანა თავხედი ხალხი არსად მინახავს. დღე ერთია და, მიწიდან საიქიოსკენ მომავალი ორი-სამი სული აუცილებლად უნდა გასრისონ. როცა კაცი კვდება, ეს არაფერია, რადგან სული ცოცხალია; ხოლო თუ სული მოკვდა, მეორე ადამიანი სულ ისპობა, აღარაფერი აღარ რჩება. აი ამაშია უბედურება... არის მფრინავებისათვის სივრცეში მიჩნეული გზა, მაგრამ ეს ოხრები არ ემორჩილებიან მოძრაობის შესახებ სავალდებულო დადგენილებას, რომელიც ყველგან არის ჰაერში გამოკრული.

— უბედურებაც ეს არის, რომ ჰაერშია გამოკრული და...

— თქვენ მგონი ახალ მიცვალებულის სული ხართ და ეხლა მოფრინავთ მიწიდან?—შემეკითხა თანამოსაუბრე სული.

— დიახ!.. აქაურობას არ ვიცნობ.

— მომყევით; მე გაგაცნობ ყველაფერს.

ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ, შევედით ღმერთის საცხოვრებელ ბინაში და შირმას ამოვეფარეთ.

ავადმყოფი და მომაკვდავი ღმერთი ლოგინზე წამომჯდარიყო, ყავარჯენს დაყრდნობოდა და საზარელი ხმით მღეროდა (უფრო სწორედ, სტიროდა):



დავრდომილი, სნეული
უნუგეშოთ ვსტირი მე.
რა ვქნა, რა ვქნა მითხარი,
რა ვქნა თქვენი ჭირი მე.
სანამ მქონდა ძალღონე,
სევდას ვკლავდი მე მალე,—
მაგრამ ეხლა სიბერეს
ვერსად ვერ დავემალე.

— საწყალი! ნუ თუ არავინ ჰყავს მომვლელი?—შევეკითხე თანამგზავრ სულს.

— ვის-ღა ახსოვს?! ყველას თავისი თავი აქვს საპატრონო!

ბნელ სარდაფში იოსების სადურგლო. სინესტის საშინელი სუნი. მარიამ, ახალგაზრდა ლამაზი ქალი აკვანს ურწევს. იოსები იქვე ცნობას აძლევს ვიღაც ალმწერს, რომელიც კითხვებს ერთი მეორეზე ისვრის:

— რამდენი წლის იყო რომ დაიბადა? რა ჰქვიოდა დაბადების დროს? რას შვრებოდა დაბადებამდე? დაბადების შემდეგ? სად დაიბადა?

— ბეთლემში.

— პირველი საექიმო დახმარება რა სახით ჰქონდა აღმოჩენილი?

— ბაგაში ჩავაწვინეთ... ეს იყო, სხვა არაფერი!

— ატყუილებს!—გავიფიქრე ჩემთვის.—საბავშო ბაგები მაშინ კი არა, ზოგიერთ ჩვენს ქარხნებში ადმინისტრაციის დაუდევრობით, ეხლაც არ არის!

— რატომ გვეკითხებით ასე დაწვრილებით ყველაფერს? თქვენ მიწიერი ფინინსპექტორის აგენტი ხომ არა ხართ?—შეეკითხა ღვთისმშობელი.

— ისე, ტყუილად. მე, როცა მიწაზე ვცხოვრობდი, ასეთ სამუშაოს ვასრულებდი. ანკეტები ისე შემიყვარდა, რომ აქაც ვერ ვისვენებ უიმისოდ და, თუმცა-ღა არავინ მეკითხება და მავალებს, მაგრამ მაინც ვავსებ... ტყვილად ყოფნა არ შემიძლია!—იყო პასუხი აღმწერისაგან.

— რას ნიშნავს მიჩვევა! ამ საწყალს იმისი შნოც კი არა აქვს, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც დაისვენოს!—

აღმწერის წასვლის შემდეგ, იოსები მწარედ ამოიოხრებს და დაღვრემილი დაჯდება. მარიამ ეალერსება. იოსები სასოწარკვეთილებით მღერის:



**სანამ ვიყავ ახალგაზრდა**
**და სიამით ძგერდა გული,**
**ვნატრობდი და არ მელირსა**
**ბედუკულმართს სიყვარული.**
**როს დავბერდი, დავუძლურდი**
**სახე დაჭკნა, დამელარა,—**
**აწინდელი სიყვარული**
**გინდ იყოს და გინდ აღარა.**

ქრისტე გამაკში უდარდელად ქანაობს და ღიღინებს:



**აზუზუნდი ფუტკარო, წადი მაროს*) უთხარო:**
**შენს საყვარელს ეძინება, მოდი, ნანა უთხარო!**

*) მარიამ მაგდალელი.,

— ნანა იქნება, რომ მოგცხებ ამ კეტს თავში! — [illegible]ბა დედა, რომელიც მოულოდნელად წამოდგება ფეხზე.

— ბიჭო, შენ გადირიე, თუ რა გემართება?! რა გინდა შენ იმ აშარ დედაკაცთან? ამიერიდან არ დაგინახო მასთან, თორემ ჩემი დედ-მამის, იაკიმესა და ანნას სულს ვფიცავარ, რომ თავს გაგიტეხ.

— სწორედ, რომ ყოჩაღი ბებია და ბაბუა მყოლია. ამ ბებრუხანებმა, როგორ გშობეს ასეთი მშვენიერი შვილი?!

— შენ მასხრობ, მაგრამ მე სრულიად არ ვარ მასხრობის გუნებაზე. იმ გარყვნილ ქალთან არ დაგინახო, თორემ...

— ნუ შეურაცჰყოფ რძალს!

— რძალი კი არა, ღვთის ძალი გაუწყრეს მას! ნუ სულელობ. წადი და მამაშენს მიეხმარე, ის გირჩევნია მაგ სულელურ ღლაბუცს. ბიჭო, ამოდენა შვილი მოგვესწარი და არაფერში არ გვარგიხარ. მთელი კვირა აღმა-დაღმა დადიხარ... ჰო, მართლა, ვაჟბატონო, იერუსალიმში რომ ვირით „წაბრძანებულხარ", იმ ვირის პატრონი გუშინ მოგვივარდა სახლში და ვაი უშველებელი დაგვაყენა:

— მინდვრად მყავდა ვირი გაშვებული საძალახოზე. მოსულა თქვენი შვილი, შემჯდარა ზედ და იერუსალიმში წაუყვანია. ვირი ავად არის და თუ მოკვდა, უნდა გადამიხადოთ, ჯეელი ვირი იყო-ო!

— ჯეელი კი არა, ძლივს დახოხავდა; ამ ჩვენს იოსებსავით უკბილო იყო!

— ყოჩაღ, ბიჭო, მამაშენი ვირს შეადარე! შვილი მომესწრო სიბერის ჟამსო, სწორედ ამას ჰქვია!

ბაღში ტბის ნაპირას ქვიშაზე გაწოლილა მარიამ მაგდალელი და ოცნებობს ქრისტეზე, თანაც გიტარაზე მღერის:



**შორი გზიდან სატრფოს ველი**
**სხვა მოდის და ის კი არა;**
**ვაი თუ გზაში დაიღალა,**
**სუსტია და ვერ იარა.**

ამ დროს მოულოდნელად წაადგება ქრისტე და დარიდიმანდულად სჭექს ბარიტონის ხმაზე:

**მუხას ცული შემოვკარი,**
**მე მეგონა წიფელაო;**
**ქალო, ერთი მაკოცნიე,**
**ჩემო ლოყებ-წითელაო.**

დიაფრაგმა: ქრისტე და მარიამ მაგდანინელი ერთმანეთს ჩაეხვევიან.

ქრისტე დატუსაღებულია. ციხის რკინის ხლართულიდან იცქირება და ოცნებაში ეზმანება მარიამ მაგდანინელი, რომელსაც უმღერის:

**ჩამოირბინე ჩემსა საფლავზე,**
**იქვე ჩამოჯექ ქვაზე მახლობლად**
**და ჩამომძახე შენის ნაზი ხმით:**
**რისთვის მოკვდი და დამტოვე ობლად.**

**ხმუკი.**

# კონკურსის შედეგი

ჟიურიმ ჯილდოს ღირსად სცნო შემდეგი ავტორები:
პირველი (პროზა) **გრიგოლ ზაქარიას-ძე თადუმაძე**, გლეხი, მცხოვრები სოფ. ხუნ-ჯულოური სამტრედიის რაიონი
**მეორე** (ლექსი)— **ლიდა შენგელია-შარიქაძისა**, უმუშევარი, მცხოვრები სოფ. ლებში ქ. ონი.
ჩვენი ჟურნალ-გაზეთი იანვრიდან ერთი წლით გეგზავნებათ აღნიშნულ მისამართით.

# „სიტყვით ბარაქალა, საქმით არაფერა“
## შეფი სოფლად



1

— ვერ წარმოიდგენ როგორ მინდოდა ჩვენი საშეფო სოფლის ნახვა, მაგრამ საქმეების გამო, თავისუფალი დრო დღემდე ვერ ვნახე. სოფელს უჭირს, ყოველ მხრივ დახმარება უნდა გავუწიოთ!—ეუბნებოდა ერთი შეფი მეორეს, როცა ისინი ქალაქიდან სოფლისაკენ მისრიალობდენ ავტოთი. (გ. თადუმაძე).

მიფრინავს ავტო სოფლისკენ,
მიფრინავს როგორც ქარია.
არ ერიდება უხეშ გზებს,
რადგან უბრძანებს ორია. (ლ. შენგელია).



2

— ეს რა ველირსეთ თქვენს მობრძანებას!—ალტაცებით გლეხები.—გვიშველეთ რამე. ბევრი რამ არის სოფელში გასაკეთებელი. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს თქვენი! (გ. თადუმაძე).

მოვიდა შეფი სოფელში,
სად თემი იყრის თავსაო.
ეხვევა მთელი სოფელი—
თქვენ მოგვაშორებთ ავსაო.

(ლ. შენგელია)



3

— წავიდეთ! იქ ხალხი გველოდება. ცოტა ნასვამი ვართ, მაგრამ არა უშავს. ასეთი ძვირფასი სტუმრები მე იშვიათად მყავს! ეუბნებოდა შეფს თემალმასკომის თავმჯდომარე.

— არც ისე ღარიბი ყოფილა თქვენი სოფელი, რომლის შეფიც ჩვენა ვართ. ღარიბი რომ იყოს, ამდენი გოჭი და ქათმები ჩვენ რომ შევსჭამეთ სად ექნებოდა! — ამბობდენ შეფები. (გ. თადუმაძე).

რას ვხედავთ? იმათ სტუმრობას
მოუტანია ნაყოფი:
ღვინო შეუსვამთ წუეულებს
დიდი ხნის ჭურში ნამყოფი. (ლ. შენგელია).



4

— ჩვენ მუდამ თქვენთან ვართ, როგორც ლხინში, ისე ჭირში. სრული დარწმუნებული იყავით, რომ არასოდეს დაგვავიწყდებით. საახალწლოდ კიდევ ვინახულებთ თქვენს სოფელს!—ასეთი დაპირებებით დაემშვიდობა შეფი. (გ. თადუმაძე).

შოფერს კიდეც ეცინება
ჩვენი შეფის თქმული სიტყვა.
ჯერ ერთხელაც არ ამხდარა,
რაც შეფისგან ბევრჯერ ითქვა.

(ლ. შენგელია).

# სასადილო „გემო"-ში

ნახ. მარიაშის




მილიციელი: გამიშვი, თუ საჩქაროდ არ გავაშველე ეს ვერანები, ერთმანეთს დახოცავენ!

გამვლელი:— ადროვე, ვერა ხედავ: გემოში არიან?!

# „ღმერთების კომუნაში"

(რადიო საიქიოდან)

...და, რა მე-1928 შობა მოახლოვდა, იესო იოსების ძე ნაზარაშვილმა გამართა თავის დაბადების აღსანიშნავი დღეობა, სადაც დაპატიჟებული ყავდა მეზობლები.

სუფრა გაიშალა თვით იესოს კაბინეთში, რადგან სასადილო ოთახი ბინის კრიზისის გამო წინა დღით ჩამოართვეს „შემჭიდროების" მიზნით, სადაც „წმიდა გრიშკა რასპუტინი" მოათავსეს, რომელიც უბინაობის გამო ეს მეთერთხმეტე წელი იყო სამოთხის ბაღის ბოლოში ათევდა; საწოლ ოთახში ხომ იესოს მეუღლე იწვა, მაგდანაანთ მარო, რომელიც წინა ღამით მიწვეული იყო თეთრაძიანთ გიორგის (რომელზედაც ბოროტი ენები ამბობენ, რომ თეთრ გვარდიელთა ჯარის აფიცერი იყოვო, საიდანაც წარმოსდგა იმისი შემოკლებითი სახელ-გვარი „წმიდა (ანუ თეთრი) გიორგი") მიერ გამართულ „ვეჩერში" და გიორგისთან ფოქსტროტის ცეკვის დროს გაცივდა; უქეიფოდ შეიქნა და, ეხლა დედამთილი მარიამი თავზე ადგა, უვლიდა; ამიტომ იყო, რომ ეს ორივე მარიამი ვერ დაესწრო სუფრას.

ყოველ შემთხვევისათვის კარის მცველად დააყენეს მთავრიაანთ მიხა (ფსევდონიმით: მთავარ ანგელოზი მიხეილი), რომელსაც ხელში ეჭირა თემურლენგის ნოქარი მოკაუჭებული ხმალი, და თუ ვინიცობაა ვინმე შემოვიდოდა დაუკითხავად, უმალ კასერზე აეთამაშებინა ისე, რომ ჩინელ ჯალათებსაც კი შერცხვენოდათ მოქნევაში.

თამადად ერთხმად არჩეულ იქნა მამა ღმერთი, რომელმაც ჩამოისვა რა თეთრ თივთიკ წვერზე ხელი და ჩაახველა აილო ყანწი და...

— ჩემ „პოპოშნიკათ" ვნიშნავ ჩემ უფროს შვილს, მოსეს და მერიქიფედ იყოს ბუდდა, მისი მომდევნო,—განაცადა მან და დაულოცავად გამოცალა ყანწი, ყელის გასასველებლად...

— ამ კუტს რომ ნიშნავ მერიქიფედ, როგორ უნდა მოიტანოს მარნიდან ღვინო, ან გოზაურიდან რით დაასხას, როცა ადგილიდან ვერ დაძრულა და მუდამ გულხელდაკრეფილი ზის, ქვრივი დედაკაცივით?!— ჩაერია უნცროსი შვილი, მამედა და დაცინვით გადახედა ბუდას.

— რა გინდა შე მოუსვენარო, რომ გადამეკიდები ხოლმე?!— წყრომით მიუგო ბუდამ და ზურგი შეაქცია.

— ჰა, ჰა, გასწყერი თორემ, მე ვიცი ტყვილია აი!..—დაატანა კნიაჟნა ნინამ, რომელმაც ის იყო ახალად შემწვარი გოჭი მოიტანა „კუხნიდან" და ბარკალი მამედას გაუწოდა.

— შენა, ე, გაუმაძღარო, ის მაროც ეყოფა, ნინას თავი დაანებე, თორემ!— გადაულაპარაკა მამედამ იესოს და ხანჯალი ოდნავ ამოსწია ქარქაშიდან მუქარით.

აქ იყვნენ შუშანიკა— მეტეხიდან, ქეთევანი —კახეთიდან, კატერინა—პეტერბურღიდან, ფრანცისკა— ვატიკანიდან და სხვები. კაცებიდან სჩანდენ დურგალი იოსები, რომელიც ბუხართან იჯდა და თბებოდა, გრიქულა ლუსავორჩიანცი — ვაღარშაპატიდან, ვლადიმერა კიევიდან, იოანე იორდანიდან და ვინ მოსთვლის კიდევ ვინ!.. დავითი თავის ქნარზე დაღიღინებდა ტკბილად „თაკო ჩემო ბედი არ გიწერია"-ს და ხანდახან თუ ჩაუკრავდა ხოლმე თვალს „ლამაზების და ლონიერ ვაჟკაცების მოყვარულ" კატერინას.

— შვილებო, ბატონებო და ქალბატონებო— დაიწყო „კომუნის" თავმა და მამასახლისმა, მამა იეღოვამ (ღმერთმა)— დღეს შეუსრულდა ჩემ საყვარელ იოსკას 1928 წელი და, კარგად ხედავთ, რომ ჯერ კიდევ არ შეპარვია ამის წაბლისფერი წვერულვაშ ჭაღარა, მაგრამ რატომღაც სულ მაინც მოწყენილია, ეს ალბად იმიტომ თუ რომ ეს რამოდენიმე ხანია შრომის ბირჟაშია ჩაწერილი და ადგილი კი ჯერ ვერ იშოვნა...

— ეგ იმიტომ, რომ კავშირის წევრი არ არის.— ჩაერია აბრაამი და რატომღაც ნიშნის მოგებით შეხედა „იუბილიარს".

— კავშირის წევრი რომ გახდეს, ამისათვის საჭიროა ადგილი იშოვნოს და იქ ერთი სამიოდე თვე მაინც უნდა იმსახუროს, სამსახურს კი არავინ მისცემს, თუ კავშირის წევრი არაა... —სცადა გამოსარჩლება ნინამ.

— ეგ შენი საქმე არაა, დედაკაცო, შენ ვინ გეკითხება ვირო ათი შაურიაო? რა ქალის საქმეა საქვეყნო საქმეებში ჩარევა?- შენ ის გირჩევნია რომ თავის დროზე მოხვიდე ხოლმე პაემანზე, იქ, ხეივანში... თორემ წუხელის რომ იმდენხანს მალოდინე, ისიც გეყოფა შენ!..—ჩაურტყა მამედამ.

— მოშორდი ერთი და, მეხი შენც დაგაყარე!.. შენ ეგრე ნუ იცი ხოლმე. თორემა თუ ჩვენ „ჟენადელში" გიჩივლე, ნახავ შენ... შენ ისიც შეგრჩეს, რომ იმ ბავშის აღსაზრდელ ალიმენტს არ მაძლევ!..— გეებუტა ნინა და იოსკას მოუჯდა ფეხთ...

— ნუ მაწყვეტინებთ, თორემა, დღდას გიტირებთ ყველას!— გაცხარდა თამადა— ჰო და, იმას ვამბობდი... ამ ჩემ შვილს იოსკას შეუსრულდა მეთქი ამდენი წელი...

— უკაცრავად კი ვარ ბატონო თამადა და, ვერაფერი გამიგია... იქ ქვევით ხლხი მე მთვლის მამად, რაც ნამდვილად ასეცაა და შენ რაზე იჩემებ? მაგის აღზრდაზე მოგსვლია ძალა, ჩაცმაზე, ჭამაზე თუ ღემნაზიაში სწავლაზე?.—ჰკადრა დურგალმა.

— ვის უბედავ მაგას შე ვირო?!— იუკადრისა თამადამ და ღვინით სავსე ყანწი ესროლა იოსებს.

— ვირს ნუ ხმარობ, მამა, არ გეკადრება ეგეთი სიტყვები.— გადაუჩურჩულა მოსემ.

— არა, როგორ ვერ მიხვდა ეგ გამოყეყეჩებული, რომ ეს ამბავი მხოლოდ იმ ტუტუც ხალხისთვის იყო გამოგონილი, რომელთა დასაჯერებლადაც იქ, დაბლა ჩვენი გზირები— მღვდლები ქადაგებენ?!— არ იშლიდა თამადა— ან მაგას როგორ შეეძლო, უბრალო დურგალს მიჰკარებოდა, ჩემ მარიკას! განა მაგის გლეხური სისხლი ჩვენს, თავადურ სისხლს შეედრება? აბა შეხეთ იოსკას თუ წელ მე არა მგავს!..

— რა ვიცი, მივკარებივარ თუ არა, ეგ თვით მარიამს ჰკითხეთ.. ბეთლემის „გასტინიცაში" რომ არ წამომყვა და როყეზე შევათრიე, ბაკში, მალაკნების „კანუშნაში"—არ იშლიდა დურგალი.

— მართალია განა, რასაც ეს მუტრუკი ამბობს?!— მიმართა თამადამ ამ დროს კარში რომ მარიამი გამოჩნდა, რომელსაც ჩხუბის ხმაური გაეგო და გამოსულიყო კაცების „დასამშვიდებლად"...

— აბა რა ვიცი... იმ დროს ისე აღელვებული ვიყავი და გამოუცდელი, რომ...— ესა სთქვა მარიამმა და მორცხვად თავი ჩაღუნა...

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი ასტეხეს; ვაჟებმა ულვაშებში ჩაიცინეს. ამ დროს მოისმა გიორგის თეთრი ცხენის ჭიხვინი და მარდათ რომ არ აეკრა ხანჯალი მიხას მიერ მოქნეულ ხმლისათვის, დაუკითხავად რომ შემოვიდა, ნამდვილად თავს გააგდებინებდა საშობაო ბურვაკივით.

— შენ ვის უბედავ მაგას?!— შეუბღვირა მან მიხას და თვალები დაუ-

— მაპატიე, ბატონო ლეიტენანტო, მე ვიღაც კომცომოლა მეგონე, და... —მოაბოდიშა მიხამ.

— სუქინსინ!.. მიფრთხილდი!!!— დაემუქრა გიორგი და „ჩესტით" წარუდგა თამადას, რომელსაც გული მისდიოდა, დურგალთან შეტაკების გამო და „კაპლებით" აბრუნებდნენ, —მან „რაპორტი" მისცა, როგორც „კომუნის კომენდანტმა"— ბატონო გენერალო, ჩვენს „კომუნაში" თუმცა არაფერი მომხდარა, სიწყნარე იყო,— თუ არ ჩავთვლით მხედველობაში ილიას მიერ ქუჩებში —სვლის წესრიგის დარღვევას, „ფაიტონი" რომ „კონკის" გზაზე გაატარა, რისთვისაც დაჯარიმებულ იქნა ალმასკომის მიერ,—მაგრამ ქვევიდან ისმის რაღაც საშინელი გუგუნი, და როგორც ჩემმა კონტრრაზვედკის აგენტმა, ნოემ შემატყობინა თავისი კიდობნიდან, იქ ვგონებ შორს მსროლი ზარბაზნები დაუდგიათ და ტუჩები აქეთ ყოფილა მოშვერილი, რომლითაც საცაა დაიწყებენ თურმე დაშენას ტეხნიერების და მეცნიკის უკანასკნელ მიღწევის - ანტირელიგიურ ყუმბარებითა!.. ამ საქმეს თურმე მეთაურობს ულმერთოთა კავშირი და მათი შტაბი მოთავსებულია ნამდვილ კომუნაშიო, როგორც ისინი ეძახიანო..—ჯერ არც კი დაემთავრებინა, რომ მოისმა საშინელი გუგუნი და ყუმბარამ კაბინეტის კედელი შეანგრია! მტრედის ფერი ლამპოჩკაც ჩაქრა, რადგანაც ზაჰესის კაბელი გაწყვიტა იქ ყუმბარის ნამსხვრევმა... ქალები და ვაჟები ერთმანეთს მიეკვრენ შიშით...

აქ კი ატმოსფერული პირობების გამო რადიო-გადმოცემა შესწყდა...

ტარზან.

# შ ო ბ ა

(მოგონებიდან)

ღმრთის სამსახური და წირვა-ლოცვა ბალღობიდანვე შემაყვარა განსვენებულმა ბებიამ.

გათენდებოდა თუ არა კვირა, დამადგებოდა თავზე ჯალათივით

— აბა, ჩქარა ადექი, ჩაიცვი, ცისკრის რამდენი ხანია დარეკეს, ელოგია მინდა ავილო და, თუ დამაგვიანდა, აღარ მერგებაო,—მეუბნებოდა ხოლმე ბებია.

როგორ არ გერგება, ბებია, ყოველთვის აუარებელი რჩება ხოლმე მღვდელს სეფისკვერები.

რას ამბობ, ბიჭო, შე ურწმუნო; შემომიტევდა ხოლმე ბებია: საქმე დარჩენაზე კი არ არის, ვინც ცისკარს არ მოისმენს, იმას ელოგია რომ არ ერგება, ჯერ კიდევ არ იცი?..

— არა, ბებიკო, ჯერ კიდევ ცოტას წევიძინებ ვემუდარებოდი მე

მახსოვს: ერთხელ ზამთარში ცივი წყალიც კი გადამასხა მძინარეს, რომ უფრო ადრე გამომეღვიძა (მაშინ ანთება და „აპენდენციტი" არ იყო მოდაში, თორემ, შენი მტერია, მე არ გადავრჩებოდი).

შობა იყო. 25 დეკემბერი. მშვენიერი ზამთრის დილა. კუდრაჭა დილის მზის სხივები ვერცხლის ფერად აცელქევებდენ ხეების ტოტებზე ახლად ჩამოფიფქულ ბამბასავით თეთრ თოვლს. ბუნება ზეიმობდა, მე და ბებიაც მხიარულად მივბაკუნებდით ეკლესიისაკენ. ცისკარის ველარ მიუსწარით, მაგრამ ბებია ჩემმა, მეტანიების სახით, მიართვა ღმერთს კონპენსაცია და ამით გათავდა მისი ტრალედია. „მამა" მიხეილ აზარტში იყო შესული. ხმა უფრო ლამაზი და ბოხი ჰქონდა, ვინემ ჩვენი საოპერო თეატრის გამგის „პოპოშნიკს".

— ი-ს-მ-ი-ნ-ე-თ წ-მ-ი-ნ-დ-ა სახარება მ-ა-თ-ე-ს-ი!— დაიღრიალა მან დიდის ხმით. მე შიშით გული გადამიტრიალდა. ხნვებმა კი მაშინვე დაიჩოქეს და სულ- განაბული უსმენდენ ყურს მღვდლის მეტყველებას.

— „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა „განაგრძო" „სულიერმა მამამ" მიხეილმა და გადმოვიდა სული წმინდა მარიამზე და მან შვა გამოქვაბულში იოსეო", გააგრძელა ხმა როლში შესულმა მღვდელმა.

ეხლა მიხეილმა დაიწყო ზეპირი ქადაგება და წაკითხულის განმარტება:

— „სულიერო შვილებო და მართლმადიდებელონო ქრისტიანებო!—დაიწყო მან აკანკალებულის ხმით.— დღეს დაიბადა ქრისტე გამოქვაბულში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ცუდი ამინდის დროს მწყემსები ცხვრებს რეკავდენ. დაიბადა მარიამის გვერდიდგან, პირველ ხანებში ბავშის მომვლელ-პატრონი დურგალი იოსები იყო, შემდეგ კი მას პატრონობა აღარ დასჭირვებიაო". და მოყვა შემდეგ თუ, როცა დავაჟკაცდა ქრისტე, როგორ გადააქცია კანას-გალილეიას წყალი ღვინოთ—და დაახასიათა სხვა მრავალი გმირობა ქრისტესი.

საკურთხით პირჩაგემრიელებული მე და ბებია მაშინათვე სახლისაკენ გავეშურეთ.

ცნობის მოყვარეობა თავიდანვე დიდი მქონდა, მაგრამ იმ დღეს პირდაპირ ფიქრებმა გამაფრინეს; ვფიქრობდი: რატომ დაიბადა ქრისტე მარიამი გვერდიდან? ვინ იყო ეს დურგალი იოსები, რომ ასე მფარველობდა თავიდანვე ქალწულ მარიამს და ახლად დაბადებულს ყრმას იოსეს? რატომ ეხლა ვერავინ აცოცხლებს მკვდრებს და აქცევს წყალს ღვინოთ? (რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში მისალები არ არის ზოგიერთ რესტორნებში, რომ „აქცევენ ხოლმე ღვინოს წყლად"). აი, ასე კითხვები თავიდანვე ამეკვიატა, მაგრამ იმ ეპოქაში, რომელშიც ბებია ჩემი ცხოვრობდა, ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემას ვერავინ კისრულობდა.

გავიდა ხანი. მოხდა ფაქტები, არც ჩვენი მღვდლები გამოდგენ ბატები. მაგალითად, როცა მოხდა საქართველოს გასაბჭოების ფაქტი, მათ მღვდლობას „უჩიტლობა" არჩიეს, თმები შეიმოკლეს, და ანაფორასაც „საკრაშენიე" გაუკეთეს. ზოგი მათგანი „კომსომოლობაზედაც" კი ოცნებობს დღეს. ზოგი საბჭოებში გაძრომასაც ფიქრობს; მიხეილ კი, ჩვენი სოფლის ყოფილი მღვდელი, წელს მასწავლებელთა უკანასკნელ ყრილობაზე ვნახე დელეგატად.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, რომელიც მე ასე მაწუხებდა, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს წაიკითხავთ დემიან ბედნის „სახარებაში", რომელიც დადასტურებულია სილია თოდრიას მიერ.

ძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოჯოხეთის კუთხე



### პერე ვისა.., პერევისა.. ტყეს აძლევ და მერე — ვისა?!..

კაი სოფელია პერევისა. უფრო კარგია, ამ სოფელს რომ ტყე აკრავს, ისა. აქვს თუ არა ვისმე უფლება მისი გაჩეხისა? მით უმეტეს ისეთებს, ვისაც არაფერი არ ესაჭიროებათ რამ ფონდისა; ასეთები, რა თქმა უნდა, ტყეს არ ინაღვლებენ, სანამ მას სრულიად მუსრს არ გაავლებენ, ვნახოთ, ვინ უწყობს ასეთ საქმეს ხელს? მოვუსმინოთ კ—**შვილს**, პერევისელს:

**„პერევისის თემალმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ვანიჩქა გრიგოლისძე წერეთელი, დღიდან მისი თავმჯდომარედ არჩევისა, ეწეოდა სხვადასხვა ბოროტ მოქმედებას: მან შეასია ხალხი პერევისის საფონდო ტყეებს და გაანადგურებია ისეთებს, რომელთაც ფონდის არაფერი ესაჭიროებოდათ-ო.**

ჩვენ არ ვიცით, რა სოციალური მდგომარეობისაა ეს წერეთელი, თუმცა კორესპონდენტი იწერება, რომ ის ღარიბია და სხვა. ერთი მაინც ცხადია: ვანიჩქამ გაამართლა გვარით დაკისრებული ვალდებულება, ხოლო ულალატა საბჭოთა ხელისუფლებით დაკისრებულ ვალდებულებებს!

ეს გარემოება ვანიჩქას საქმეს ვეღარ გამოასწორებს, ის უკვე ზის გამასწორებელ სახლში, მაგრამ მომავალ საბჭოთა არჩევნებში კი ის გამოგვადგება ერთგვარ სახელმძღვანელო გაკვეთილად.

### მარელისის ფაბრიკასა, მის მოლარეს თავრიკასა

განა, მისთვის ეძახიან მოლარეს ანდროსა, რომ მას ფაბრიკამ სალარო ანდოსა? ნდობაც არის და ნდობაც, მაგრამ, რასაც მოლარე ანდრო შობა, დაუშვებულია ჩვენს დროში: ქალებს აძლიოს ავანსი, ხოლო მუშებს კი არც ხვედრი გროში,, „შეუძლებელია ამის ატანა— ამბობს სატანა!

და თანახმად კორესპონდენტ **„ვნების“** აზრისა, ურჩევს ფაბრიკის დირექტორს:

**„სჯობია, თუ რომ მონახავ მოლარეს, ანდროზე სანდოსა, თორემ ფაბრიკას ზარალი არ ასცილდება ამ დროსა!.. ინდუსტრიალიზაციის დროსა!**—დავსძენთ ჩვენ.

### ლელვან-მარელისის პუნქტში შეხტი ცხენო, შეკუნტრუშდი

რადგან უცხენოთ თქვენ არ შეგიძლიათ პუნქტის გამგე კიკნაძეს ავადმყოფი უჩვენოთ, მას თავი აქვს „ხლაფორთისა“ მოხელეა „აბორტისა“, უშვილო ქალს თუ სჭირდება, შვილისა ყოლას ჰპირდება, რაღა უჭირს, თუ მსგავსი ექიმი თემს არ დაუძვირდება!.. ამას გვწერს ვინმე **ხუზარა**, გასაკვირია, თუმცა რა?!

### იქვე აგრონომ ბრეგაძეს: „კაცი უსმელად ვერ გასძლებს“!..

ამისი თქმა-ღა მოასწრო პატივცემულმა აგრონომმა, როცა ვილაცამ წამოიძახა: „მატარებელი მოვიდაო“.. და მომხსენებელმაც მყის მიატოვა შეკრებილი გლეხობა, რადგანაც აგრონომი, როგორც სჩანს, სწრაფ მიმოსვლას ემხრობა. როგორც მისი მოხსენებიდან ირკვევა, თუ ღვინო ტკბილია, უფრო ისმევა, ხოლო თუ ღვინო მჟავეა, რაც იქავეე, სადაც იყო მოხსენება, ვენახს უნდა შენება, ხოლო ყურძნიდან დაწურულ სითხეს უნდა უქნათ შაქარი!..

ასე გადმოგვცემს ამ ამბავს კორესპონდენტი **მაჭარი.**

### შრომის ბირჟის საგარანტიო სექცია, სადაც არ იციან: რაა პროტექცია.

არის ხოლმე კაცი აკარაკაშვილი—სინამდვილეში კი—ლაპარაკაშვილი, რადგან აქვს ენის მოძრაობის საღერღელი აშლილი. უნდა შემოიღოს დაწესებულებაში ასპროცენტიანი „დემოკრატიზმი“, მხოლოთ უნაყოფოა ყველა ცდა იმისი: გამოცხადდებიან მასთან სოფიო, ელენე და „წითელქუდა“, (ალბათ, ტარტაროზსაც რომ ეს უნდა!). მაშინვე დაიწყებს ლაპარაკაშვილი დნობას: ქალებს ავანსად უცხადებს ნდობას, ხოლო იქვე მდგომი მამაკაცები კი ავიწყდება; ამის შემსწრეს მოთმინების ძაფები თითქმის ყველას უწყდება და ეკითხება ერთი მათგანი მშვიდათ, როგორც ბატკანი: „ამხანაგო გიორგი, არ შეიძლება ჩვენი ამ ზედმეტი ლოდინის თავიდან აშორება და თქვენს ყურადღებაზე უფლებით ქალებთან ჩვენიც გათანასწორება?!“

ამ საკითხის ამოწურვა, თუ გრიგორმაც მოისურვა, შეიძლება იმავ წამზე, თუ დაჯდება ერთ-ერთ სკამზე, ახლა რომ ორი უდგია.., ესმას, ვისაც ჯერ კიდევ არ გაუგია!..

### ელსადგურს — ახალი წესი, კვანტალიანს — ურგებჰესი!

მიკვირს ამ ნასწავლ ინჟინერების საქმე, მდინარის სიმახვილე თუ კი ნახეს სადმე, მაშინვე დაჰკრავენ საყვირს (სწორეთ სიუტიფრე იმათი გამკვირს!): „ეს ისეო, ეს ასეო: უნდა გაკეთდეს ქვის ტინი წყალზეო, მერე და ისე მაგრათო, რკინით და დუღაბით უნდა გავკრათო, მივაშველოთ ფოლადი და თუჯიო, ისეთი უნდა გაკეთდეს ბურჯიო, რომ წყლის მოწოლას გაუმკლავდესო, თუნდაც არაჩვეულებრივ ლანქერსაც კი ზურგი აუქავდესო. არა, რა საჭიროა ამდენი ტანჯვა?! საკმაოა სულ ორიოდ ას თუმნის ხარჯვა: წყალ'ში ხის უბრალო ბარჯგების ჩაყრა, ბარჯგებზე სულ უბრალო ფიცრების გაკვრა, როწ ასეთ ტინს წყალი სულ დასილავს და შემდეგ ააგებთ ელსადგურსაც ადვილად!

არ გჯერათ? დაგიმტკიცებთ ხელათ!

აი, რას იწერება ტყიბულის მაღაროებიდან კორესპონდენტი **ზურ-ნა:**

„კვანტალიანმა არ დაუჯერა არც ტეხნიკურ პერსონალს, არც კავშირს, არც მუშათა ხმას, მიაყენა ჭალას აუარებელი მუშა-ხელი, მიზიდა ურიცხვი ფიცრები, გარბილები, ბიჯგები, სინა, ჩაასო წყალში ბიჯგები, მიაჭედა ცხრა-ცხრა არშინიანი ფიცრები და უნდოდა წყლის შეკავება, რათა შემდეგ წყალს მიესილა ეს ადგილი. მაგრამ მოვარდა ნიაღვარი და 2.000 მანეთად ღირებული ეს ნაგებობა გაასუფთავა. წყალმა მაღაროსაც კაი გვარიანი ზარალი მიაყენა!..

სმენა!

რა თქმა უნდა, „ვისაც აქვს ყურნი სმენად!“.. ხოლო მუშებმა კი იმ თავითვე დაჰგმეს კვანტალიანის მიერ გამოგონებული ელსადგურის გაყვანის წესი და დაარქვეს მას: **„ურგებჰესი“!..**

ტარტაროზმა კი კვანტალიანის პროექტის ეს სათაური გადაასწორა: **„მავნებჰესად“!**

[illegible]

ნახ.




ვირი:—ეეეჰ, სჩანს ტყუილად გამიხარდა მაგისი დაბადება; მცოდნოდა, რომ მთელ სიცოცხლეში სათრევად მარტო მე მომიწევდა, ვინ ოხერი კრინტს დასძრავდა!